გივი ბერიკაშვილი

გივი ბერიკაშვილი 1934 წლის 12 მაისს თბილისში დაიბადა. 1952 წელს დაამთავრა ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც 1956 წელს დაამთავრა. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სოხუმის, კ. მარჯანიშვილის სახელობისა და რუსთავის თეატრებში.

1975 წლიდან კი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი იყო გარდაცვალებამდე. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ფლორინდო (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“), მიშიკო (ა. აგლაძის „შავთვალა გოგონა“), ზებერა (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“), გრეგორიო (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), ფოლსტაფი (შექსპირის „ფოლსტაფი“), ლუიჯი კონსული (გ. მდივნის „კონსული მოიპარეს“), ნოტიასი (ნ. პერიალისის „ბაბთიანი გოგონა“), ყაჭია (გ. შატბერაშვილის „მკვდრის მზე“), რებერტი ჯ. სელენჯერის („თამაში ჭვავის ყანაში“), ზაზა (გ. ხუხაშვილის „მთაწმინდის მთვარე“), პადრე სალვატი (ე. დეფილიპოს „კომედიის ხელოვნება“), ჯერანო (ე. დეფილიპოს „მილიონერი ნეაპოლი“) და სხვა. აღსანიშნავია კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში განხორციელებული სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“. ამ როლმა გივი ბერიკაშვილს დიდი წარმატება მოუტანა. იგი დააჯილდოვდა პრემიით - „1971-1972 წლების თეატრალური სეზონის საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისთვის“.

გივი ბერიკაშვილი გადაღებულია ფილმებში: „ჯილდო“, „მიხა“, „ლონდრე“, „ღვინის ქურდები“, „მზე შემოდგომისა“, „სიყვარული ყველას უნდა“, „თეთრი ბაირაღები“, „დათა თუთაშხია“, „ნიძლავი“, „თერმომეტრი“, „პეპელა“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „მარადისობის კანონი“, „სამოთხის გვრიტები“, „მიდიოდა მატარებელი“ და სხვა.

გივი ბერიკაშვილი არის საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტი, კ. მარჯანიშვილისა და იპოლიტე ხვიჩიას პრემიების ლაურეატი. მიღებული აქვს წლის საუკეთესო მამაკაცის ლაურეატისა და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (2010 წ.). 2008 წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.
გივი ბერიკაშვილი 2017 წლის 10 აპრილს 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე მდებარე ამაღლების ეკლესიის ეზოში.

გივი ბერიკაშვილი ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი იყო. მისი თამაშის მანერა ეროვნული კოლორიტულობით იყო გაჯერებული. მისი გმირები ხალასი იუმორითა და უშუალობით გამოირჩეოდნენ. მაყურებელთა მხრიდან სწორედ ეს იყო მიზეზი მისადმი ასეთი დიდი სიყვარულისა. გივი ბერიკაშვილის მონაწილეობით კინოფილმებსა და ტელედადგმებს დღესაც დიდი სიყვარულითა და მონატრებით უყურებენ მისი თაყვანისმცემლები.

გივი ბერიკაშვილის პირადი საარქივო ფონდი

1. გივი ბერიკაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ანკეტა.
   1974 წ. 2 ივნისი. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. კალამი. ერთვის ფოტო. 5 გვ.

2. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაცემული გივი ბერიკაშვილის ცნობარი.
   1979 წ. 14 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. კალამი. 3 გვ.

3. თბილისის N 10 პოლიკლინიკის კოლექტივის წერილი გივი ბერიკაშვილისადმი, წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
   1980 წ. 5 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს მთავარი ექიმი - ვ. ბაქრაძე. 1 გვ.

4. გივი ბერიკაშვილის როლი სცენარიდან „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“.
   უთარიღო. ავტოგრაფი. 8 გვ.

5. გივი ბერიკაშვილის ჩანაწერი - ბაადურ წულაძის შესახებ „სავიზიტო ბარათი“.
   უთარიღო. ავტოგრაფი. ფლომასტერი. 1 გვ.

6. სატელევიზიო გადაცემიდან - „თვალის ერთი გადავლებით“, „ქართული კინო - 1980“. ინტერვიუ გივი ბერიკაშვილთან.
   პირი: ბაადურ წულაძე, გიორგი შენგელაია, გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი, სესილია თაყაიშვილი, ნ. მჭედლიძე, იმედო კახიანი, რეზო ესაძე, ო. გვასალია, ლიკა ქავჟარაძე, თამაზ მელიავა, ნიკოლოზ სანიშვილი, ლეილა აბაშიძე, ელგუჯა ჟღენტი.
   უთარიღო. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. კალამი. 11 გვ.

7. გივი ბერიკაშვილის სიტყვა საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული.
   უთარიღო. ავტოგრაფი. აკლია პირველი გვერდი. კალამი. 6 გვ.

8. გივი ბერიკაშვილისადმი მიძღვნილი სცენარი - „სალოცავის მსახური, კეთილი ეფრაიმი“.
   უთარიღო. ხელნაწერი. რვეული. 5 გვ.

9. უცნობი გადაცემის სცენარი.
   უთარიღო. ხელნაწერი. კალამი. 9 გვ.